№ 01-01/12 „20“ სექტემბერი 2018 წ.

ბრძანება

,,კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) ჩატარებისა და ანალიზის უზრუნველსაყოფად მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ„ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2016 წლის 30 დეკემბრის № 01-01/41 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 01 დეკემბრის №01-01/40 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, სასწავლო უნივერსიტეტის, „მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის/შეფასების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ,,კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) ჩატარებისა და ანალიზის უზრუნველსაყოფად მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ„ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2016 წლის 30 დეკემბრის № 01-01/41 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 01 დეკემბრის №01-01/40 ბრძანებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. შეიქმნას მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) ჩატარებისა და ანალიზის უზრუნველსაყოფად შემდეგი შემადგენლობით

ა) ბელა მოსია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი (ჯგუფის ხელმძღვანელი).

ბ) ნათია წიფურია-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

გ) თამრიკო ლუკავა - კარიერის განვითარების ცენტრის უფროსი.

დ) ნათია კუტალია - პროფესიული პროგრამების საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი

3. დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს (ბელა მოსიას) გამოკითხვის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება რექტორისთვის წარსადგენად.
4. დაევალოს კანცელარიის უფროსს (ე. ჭანიას), ბრძანება გადასცეს დაინტერესებულ პირებს.
5. დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ზაალ ქორთუას) კვლევების ფინანსური უზრუნველყოფა.
6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად .
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მისამართზე ქ.თბილისი, უზნაძის ქ.№52

თეონა ხუფენია

რექტორი